

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-107

2014 წლის 28 მაისი

ქ. თბილისი

## ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

### მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესი.

### მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მინისტრი

შალვა ფიფია

## ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი არეგულირებს ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების მიღების, შექმნის, გაცემის, გამოყენების, ჩამოწერისა და განადგურების ზოგად დებულებებს.

2. ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოყენების უფლება აქვს შესაბამის ვეტერინარულ და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელ სამსახურებს (შემდგომში - სამსახური), რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებენ გარეულ და შინაურ ცხოველთა ანესთეზიას, იმობილიზაციას ან/და ევთანაზიას და რეგისტრირებულნი არიან სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) შესაბამის რეესტრში.

3. სამსახური ვალდებულია მხოლოდ შესაბამისი ნებართვის ან/და ლიცენზიის მქონე იურიდიული პირისგან შეიძინოს საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებები.

4. აკრძალულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოყენება სამსახურის მიერ დადგენილი წესის დარღვევით.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ანესთეზია - გაუტკივარება, ტკივილის შეგრძნების ხელოვნური გზით დათრგუნვა ქირურგიული მანიპულაციების ან სხვადასხვა დიაგნოსტიკური პროცედურების განხორციელების მიზნით;

ბ) ევთანაზია - უკურნებელი სენით დაავადებული, სიკვდილის წინა სტადიაში მყოფი დაავადებული ცხოველის სიცოცხლის განზრახ შეწყვეტა უმტკივნეულოდ, ტანჯვის შეწყვეტის მიზნით;



გ) იმობილიზაცია - ცხოველთა მოძრაობის შეზღუდვა;

დ) ვეტერინარული და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი სამსახური - სახელმწიფო, საუწყებო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ვეტერინარული და არავეტერინარული პროფილის (ცირკი, იზოდრომი, ზოოპარკი, ცხოველთა ჭერის განმახორციელებელი დაწესებულებები და სხვა, რომლებიც საჭიროებენ ვეტერინარულ მომსახურებას) საქმიანობას;

ე) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებები - „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნივთიერებები.

### **მუხლი 3. სამსახურის რეესტრში რეგისტრაციის პირობები**

1. სამსახურის რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტო, რომელსაც მონაცემები შეაქვს შესაბამის რეესტრში.
2. რეესტრში შესაყვანად, სამსახური მიმართავს სააგენტოს და წარადგენს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) სამსახურის დასახელება;

ბ) იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;

გ) საიდენტიფიკაციო მონაცემები;

დ) სამსახურის საქმიანობა;

ე) უსაფრთხოების ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ (სპეციალურად დაცული ოთახი, სეიფი);

ვ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების მიღება, შექმნა, გაცემასა და გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობას და საკონტაქტო მონაცემებს.

3. სააგენტო უფლებამოსილია გადაამოწმოს სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და მიიღოს გადაწყვეტილება სამსახურის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

4. სააგენტოს მიერ წარმოებული რეესტრი არის საჯარო, რომელიც განთავსებულია სააგენტოს ელექტრონულ რესურსზე.

5. რეესტრში შეტანის შემდეგ სამსახურს უფლება აქვს დადგინდეს წესით შეიძინოს და გამოიყენოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებები.

### **მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები სამსახურის მიერ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების მიღების, შექმნის, გაცემისა და გამოყენების შესახებ**

1. სამსახურში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების მიღებაზე, შექმნაზე, გაცემაზე, გამოყენებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამსახურის ხელმძღვანელს და სპეციალურად გამოყოფილ უფლებამოსილ პირს (პირებს).

2. სამსახური, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების შექმნაზე, ძირითადი მარაგის შენახვასა და მომზადებაზე ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე ავტორიზებულ აფთიაქთან (აფთიაქებთან).

3. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების შეფუთვის ფორმა უნდა გამორიცხავდეს მისი მთლიანობის დაურღვევლად ნივთიერებასთან შეხების შესაძლებლობას, უნდა ახლდეს გამოყენების ინსტრუქცია.

4. სამსახური ვალდებულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებები



მიიღოს მხოლოდ მზა წამლის ფორმის სახით.

5. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ეტიკეტზე მოცემული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) დასახელება, ფორმა, შეფუთვაში მოთავსებული რაოდენობა და წონა/მოცულობა;

ბ) შემადგენლობა რაოდენობის მიხედვით;

გ) დამზადების თარიღი;

დ) ვარგისიანობის ვადა;

ე) სერია;

ვ) მწარმოებელი ფირმა და ქვეყანა.

6. სამსახურს ეკრძალება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების შექმნა, თუ ის არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. აკრძალულია ამ ნივთიერებათა დაფასოება, ტარის შეცვლა, სხვა ჭურჭელში განთავსება, ეტიკეტის ან ინსტრუქციით გათვალისწინებული გამოყენების წესის შეცვლა.

8. სამსახურში:

ა) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ უფანჯრო ოთახში, ცეცხლგამძლე სეიფში, ოთახს უნდა ჰქონდეს კაპიტალური კედლები, რკინის კარები და გააჩნდეს ადგილობრივი შუქნმოვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაციები. ნარკოტიკული საშუალებების შენახვა ხორციელდება ინსტრუქციით გათვალისწინებული პირობების დაცვით;

ბ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერებები, პრეკურსორები და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებები ინახება ცალკე, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს რკინის კარებით და უფანჯრებზე გისოსებით.

9. სპეციალურად დაცული ოთახისა და სეიფის გასაღები უნდა ინახებოდეს სამსახურის ხელმძღვანელთან ან/და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების მიღება, შენახვა, აღრიცხვა, გაცემა და გამოყენებაზე პასუხისმგებელ პირთან (პირებთან).

10. ავტორიზებულ აფთიაქთან ხელშეკრულებით მომუშავე სამსახურს უფლება აქვს იქონიოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების 15 დღის მარაგი.

11. აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების შენახვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირი არასამუშაო დღეებში მორიგე ვეტერინარ ექიმს გადასცემს ნივთიერებათა სავარაუდო მარაგს, რომელიც ფორმდება დალუქულ, დანომრილ, ზონარგაყრილ და სამსახურის ხელმძღვანელის მიერ დამოწმებულ ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების მორიგე ვეტერინარ ექიმზე გადაბარების ჟურნალში (დანართი №1).

12. სამსახურში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებები ექვემდებარებიან საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას. აღრიცხვა უნდა წარმოებდეს დალუქულ, დანომრილ, ზონარგაყრილ და სამსახურის ხელმძღვანელის მიერ დამოწმებულ ვეტერინარულ სამსახურისა და ცხოველთა



ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების აღრიცხვის ჟურნალში (დანართი №2).

13. სამსახურში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებები ცხოველს უკეთდება (ეძლევა) ვეტერინარი ექიმის დანიშნულების საფუძველზე, რაც ფიქსირდება ცხოველის ავადმყოფობის ისტორიაში ინექციის ან სხვა გზით მიღების თარიღის, საათის, მედიკამენტის დასახელების (ლათინურ ენაზე), დოზის ერთეულის, წამლის ფორმისა და რაოდენობის/ჯერადობის მითითებით. ჩანაწერს ხელს აწერს სამსახურის ვეტერინარი ექიმი და დამსწრე პირი, რომელიც ესწრება აღნიშნულ პროცედურას. გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულები ბარდება და ინახება გამოყენებაზე პასუხისმგებელ პირთან და ნადგურდება დადგენილი წესით მისი გამოყენებიდან 10 დღის ვადაში, რაზეც დგება აქტი სამსახურში გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულების განადგურებაზე. (დანართი №3).

14. სამსახურში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების სააღრიცხვო დოკუმენტაცია ინახება ხუთი წლის განმავლობაში (თუ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზოგიერთი დოკუმენტის უფრო ხანგრძლივი დროით შენახვას), რის შემდეგაც ნადგურდება სათანადო აქტის შედგენით. აქტში მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტის სახეობა, ნომერი, რაოდენობა, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდეს სამსახურის ხელმძღვანელი და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების შექენა, შენახვა, აღრიცხვასა და გაცემაზე სამსახურის პასუხისმგებელი პირი.

15. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირი პერიოდულად ადარებს ნივთიერებების ფაქტობრივ ნაშთს ჟურნალის ნაშთთან. მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში სამსახურის ხელმძღვანელი ადგენს აქტს და ატყობინებს სააგენტოს, რომელიც ვალდებულია შეტყობინებიდან 5 დღის ვადაში შეისწავლოს საკითხი და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

### **მუხლი 5. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ჩამოწერა-განადგურება**

1. სამსახურში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების განადგურებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამსახურის ხელმძღვანელს და სპეციალურად გამოყოფილ უფლებამოსილ პირს (პირებს).

2. სამსახურში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ჩამოწერა და განადგურება ხდება:

ა) ვარგისიანობის ვადის გასვლისას;

ბ) სტანდარტთან შეუსაბამობისას;

გ) თუ ის დარჩენილია დანიშნულებისამებრ გამოყენების შემდეგ.

3. სამსახურში, სადაც ხდება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ჩამოწერა-განადგურება, ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება კომისია (პოლიციის თანამშრომლის აუცილებელი მონაწილეობით), რომელიც ადგენს ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ჩამოწერასა და განადგურებაზე აქტს (დანართი №4). სავალდებულოა აქტში მითითებული ყველა მონაცემის სრულყოფილად შევსება. რომელიმე მონაცემის შეუვსებლობის შემთხვევაში სამსახურის ხელმძღვანელი აქტს თან ურთავს ახსნა-განმარტებას აღნიშნულის შესახებ. აქტის ეგზემპლარები ინახება ჩამოწერილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებებთან ერთად დალუქულ მდგომარეობაში.



4. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ჩამოწერა-განადგურებამდე საჭიროა ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის შესაბამისი დასკვნა. ამასთან დაკავშირებული საანალიზო ნიმუშის აღების შემდეგ სამსახურში დარჩენილი ნაშთი ილუქება ლაბორატორიის წარმომადგენლის მიერ.
5. განადგურებას ექვემდებარება მხოლოდ დადგენილი წესით ჩამოწერილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებები და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებები.
6. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ჩამოწერა-განადგურება ხდება მათი დაგროვებისას, მაგრამ არაუგვიანეს ყოველ 30-ე დღისა.
7. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებები კაფსულების, დრაჟეების და ტაბლეტების სახით ნადგურდება დაწვის გზით, ხოლო შპრიც-ტუბი, ფლაკონები და ამპულები - დაჩეჩვით.
8. განადგურებამდე კომისიის წევრები ამოწმებენ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების შეფუთვისა და ლუქის მთლიანობას. ლუქის დარღვევის შემთხვევაში ხდება შეფუთვის გადამოწმება და სხვაობის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ ტარდება კანონმდებლობით დადგენილი ზომები.
9. განადგურების პროცესში დაცული და გათვალისწინებული უნდა იქნეს უსაფრთხოების წესები და გასანადგურებელი მასალის ფიზიკურ - ქიმიური თვისებები, რაოდენობა, განადგურებისას შესაძლო ქიმიური რეაქციები და იმ ადგილის მიზანშეწონილობა, სადაც უნდა მოხდეს განადგურება.
10. განადგურების შემდეგ ჩამოწერის და განადგურების აქტში ფიქსირდება განადგურების თარიღი, ადგილი, მეთოდი, გამოყენებული ტარა, ტრანსპორტი, რასაც ხელმოწერით ადასტურებს კომისიის ყველა წევრი, რის შედეგადაც აქტი მტკიცდება შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით. აქტის თითო ეგზემპლარი ეგზავნება სააგენტოს, სსიპ - სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, პოლიციას, ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება სამსახურში და ინახება ხუთი წლის ვადით.

**მუხლი 6. სამსახურის ანგარიშვალდებულება**

1. სამსახური ანგარიშვალდებულია სააგენტოსა და სსიპ - სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წინაშე.
2. სამსახური ვალდებულია სამ თვეში ერთხელ (საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე) მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს და სსიპ - სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამსახურში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების მიღება-შემცნისა (დანართი №5) და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოყენების შესახებ (დანართი №6), წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
3. სააგენტო უფლებამოსილია შეამოწმოს სამსახური და ამ წესის მოთხოვნათა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დააკისროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა და შეუჩეროს რეგისტრაცია პასუხისმგებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულებამდე.

დანართი №1

**განმახორციელებელი სამსახურის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების მორიგე ვეტერინარ ექიმზე გადაბარების ყურნალის ფორმა**

თარიღი	ნივთიერებათა დასახელება	რაოდენობა	სერია	ნივთიერება ჩავაბარე (ხელმოწერა)	ნივთიერება მივიღე (ხელმოწერა)	შენიშვნა



1	2	3	4	5	6	7
---	---	---	---	---	---	---

დანართი №2

ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა.

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი				
№	დასახელება და სერია	მიღების თარიღი,	საიდან არის მიღებული, საბუთის №	რაოდენობა
1	2	3	4	5

გ ა ს ა ვ ა ლ ი					
გაცემის თარიღი	ცხოველის სახე, ცხოველის საიდენტიფიკაციო ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	რაოდენობა	ნაშთი	მიღება/გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა	შენიშვნა
6	7	8	9	10	

დანართი №3

აქტი №

სამსახურში გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულების განადგურებაზე

კომისიამ შემადგენლობით (არანაკლებ 3 პირისა):

1. გვარი, ინიციალები და თანამდებობა
2. „
3. „

წელი, რიცხვი, თვე

მოახდინა 20 წლის „\_\_“ „\_\_\_\_\_“ - დან 20 წლის „\_\_“ „\_\_\_\_\_“ - მდე პერიოდში დახარჯული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულების განადგურება შემდეგი რაოდენობით:



ა) ნარკოტიკული საშუალების დასახელება და რაოდენობა (სიტყვიერად)

ბ) „

გ) „

რის გამო იქნა გამოყენებული (მიეთითოს ავადმყოფობის ისტორიების ნომრები).

ამპულები განადგურდა დაჩეჩქვის გზით.

- კომისიის წევრების ხელმოწერა
1. \_\_\_\_\_
  2. \_\_\_\_\_
  3. \_\_\_\_\_

„ ვამტკიცებ” \_\_\_\_\_

(სამსახურის ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ბ.ა.

აქტი ინახება ხუთი წლის განმავლობაში

დანართი №4

**აქტი №**

**ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი  
სამსახურის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ  
კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული  
სამკურნალო საშუალებების ჩამოწერასა და განადგურებაზე**

— \_\_\_\_\_ 20 წელი

ქ. თბილისი

სამსახურის დასახელება \_\_\_\_\_

კომისიის შემადგენლობა:

თავმჯდომარე \_\_\_\_\_

კომისიის წევრები \_\_\_\_\_



წინამდებარე აქტი შედგენილია მასზედ, რომ კომისიის მიერ ჩამოწერილი იქნა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების:

№	ნივთიერებათა დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	დამზადების და ვარგისიანობის თარიღი	სერია	ჩამოწერის მიზეზი
1	2	3	4	5	6	7

(ნივთიერების დასახელება, ზომის ერთეული, ფორმა რაოდენობა, განადგურების მეთოდი, ადგილი, განადგურების თარიღი, გამოყენებული ტარა, ტრანსპორტი.)

აქტი სწორია, რაზედაც ვაწერთ ხელს

კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე \_\_\_\_\_

კომისიის წევრები \_\_\_\_\_

ბ.ა

დანართი №5

**ინფორმაციის მიწოდების ფორმა  
სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს  
დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო  
საშუალებების მიღება-შეძენის შესახებ**

ინფორმაციაზე მომწოდებელ პირის დასახელება, სააგენტოს რეესტრში გატარების №, ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი \_\_\_\_\_ ელ-ფოსტა \_\_\_\_\_,

საანგარიშო პერიოდი \_\_\_\_\_



№	დასახელება, დოზა, კონცენტრაცია, შეფუთვაში რაოდენობა	სერია	ზომის ერთეული	ქვეყნის შიგნით მიღებული/შემქნილი ნივთიერების რაოდენობა
1	2	3	4	5

ორგანიზაციის დასახელება, ვისგანაც განხორციელდა შეძენა	ორგანიზაციის ნებართვის ან ლიცენზიის №, ვისგანაც განხორციელდა მიღება/შემქნა ქვეყნის შიგნით	ქვეყნის შიგნით მიღების/შემქნის შემთხვევაში სასაქონლო ზედნადების № და მიღების/შემქნის თარიღი	შენიშვნა
6	7	8	9

პასუხისმგებელი პირის თანამდებობა და ხელმოწერა \_\_\_\_\_

თარიღი \_\_\_\_\_

ბ.ა.

დანართი №6

**ინფორმაციის მიწოდების ფორმა  
სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს  
დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო  
საშუალებების გამოყენების შესახებ**

ინფორმაციაზე მომწოდებელ პირის დასახელება, სააგენტოს რეესტრში გატარების № ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი \_\_\_\_\_ ელ-ფოსტა \_\_\_\_\_ ,

საანგარიშო პერიოდი \_\_\_\_\_

№	ნივთიერების დასახელება, დოზა, კონცენტრაცია, შეფუთვაში რაოდენობა	სერია	ზომის ერთეული	ნაშთი საანგარიშო პერიოდის პირველი თვის პირველი რიცხვისათვის
1	2	3	4	5

საანგარიშო პერიოდში შექმნილი(მიღებული) რაოდენობა	გამოყენებული რაოდენობა	ნაშთი საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის პირველი რიცხვისათვის	შენიშვნა
6	7	8	9



პასუხისმგებელი პირის თანამდებობა და ხელმოწერა \_\_\_\_\_

თარიღი \_\_\_\_\_

ბ.ა.

